

შპს შვიდი მითი ტრეიდი-ს

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის  
დასრულებული წლისათვის

**შპს შვიდი მითი ტრაიდი**

| <b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</b>  | <b>31.12.2019</b> | <b>31.12.2018</b> |
|--------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                            |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                       | 5 231             | 3 697             |
| საინვესტიციო ქონება                        |                   |                   |
| ბიოლოგიური აქტივი                          |                   |                   |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში           |                   |                   |
|                                            | <b>5 231</b>      | <b>3 697</b>      |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                  |                   |                   |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 3 176             | 75 865            |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 3 178 605         | 2 470 481         |
| მარაგები                                   | 659 484           | 737 292           |
| მისაღები დივიდენდები                       |                   | 0                 |
| მისაღები პროცენტები                        | 0                 | 0                 |
|                                            | <b>4 587 286</b>  | <b>3 283 638</b>  |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                    | <b>4 592 517</b>  | <b>3 287 335</b>  |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                    |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                         |                   |                   |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)  | 1 011 808         | 643 550           |
| გადაფასების რეზერვი                        | 0                 | 0                 |
|                                            | <b>1 011 808</b>  | <b>643 550</b>    |
| <b>ვალდებულებები</b>                       |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>          |                   |                   |
| გრძელვადიანი სესხები                       |                   |                   |
| ანარიცხები                                 |                   |                   |
| გადავადებული შემოსავალი                    |                   |                   |
|                                            | <b>0</b>          | <b>0</b>          |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>             |                   |                   |
| მოკლევადიანი სესხები                       | 3 019 162         | 2 210 406         |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 406 078           | 377 157           |
| მოგების გადასახადის ვალდებულება            | 0                 |                   |
| საგადასახადო ვალდებულებები                 | 155 469           | 56 222            |
| გადასახდელი პროცენტი                       |                   |                   |

|                                  |           |           |
|----------------------------------|-----------|-----------|
| გადასახდელი დივიდენდი            |           |           |
|                                  | 3 580 708 | 2 643 785 |
| მთლიანი ვალდებულებები            | 3 580 708 | 2 643 785 |
| მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები | 4 592 517 | 3 287 335 |

შპს შვიდი მითი ტრაიდი-ს დირექტორი  
მამუკა სამხარაძე

*2. მამუკა*

## შპს შვიდი მითი ტრეიდი

| მოგებისა და ზარალის ანგარიშგება              |   | 2019 წელი         |
|----------------------------------------------|---|-------------------|
| ნეტო ამონაგები                               |   | 15 230 395        |
| საქონლის გაყიდვიდან                          |   | 15 230 395        |
| მომსახურების გაწევიდან                       |   |                   |
| სხვა                                         |   |                   |
| <b>რეალიზებული პროდუქციის</b>                |   |                   |
| <b>თვითღირებულება#</b>                       |   | <b>13 842 743</b> |
| საწყისი მარაგები#                            |   | 737 292           |
| მარაგების შესყიდვა#                          |   | 13 764 935        |
| გადამუშავების დანახარჯები#                   | # |                   |
| საბოლოო მარაგები#                            |   | 659 484           |
| ##                                           |   |                   |
| <b>საერთო მოგება</b>                         |   | <b>1 255 820</b>  |
| სხვა შემოსავალი                              |   | 53 493            |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                     |   | -245 441          |
| ცვეთა ამორტიზაცია                            |   | - 923             |
| საპროცენტო შემოსავალი                        |   |                   |
| საპროცენტო ხარჯი                             |   | -133 217          |
| იჯარის ხარჯი                                 |   | - 140 155         |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი     |   | - 136 592         |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                |   | <b>- 602 835</b>  |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                     |   | <b>784 817</b>    |
| გაუფასურების (ხარჯი)/რევერსირება             |   |                   |
| ფინანსური აქტივები                           |   |                   |
| მარაგები                                     |   |                   |
| სხვა არაფინანსური აქტივები                   |   |                   |
| წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი)                |   |                   |
| სავალუტო ოპერაციებიდან                       |   | -105 356          |
| მიღებული დიდიდენდები                         |   |                   |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) |   |                   |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                         |                                 |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------|
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                                                                                                                                                                                                                                  | 679 461                         |
| მოგების გადასახადი                                                                                                                                                                                                                                                                                      | -                               |
| მოგება/(ზარალი) წლის ბოლოს                                                                                                                                                                                                                                                                              | 679 461                         |
| <p>სხვა სრული შემოსავალი/(ზარჯი)</p> <p>ძირითადი საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი</p> <p>სხვა (მათ შორის წილი ერთობლივა და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)</p> <p>სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი) სულ</p> |                                 |
| მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) სულ                                                                                                                                                                                                                                                                   | 679 461                         |
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი )                                                                                                                                                                                                                                              | 643 550                         |
| <p>ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალის გაზრდა კოოპერატივის შემთხვევაში საპაიო კაპიტალის გაზრდა</p> <p>განაწილება მესაკუთრეებს შორის (მათ შორის დივიდენდები)</p> <p>სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში</p> <p>კაპიტალის სხვა ცვლილებები</p>                                         | <p>-172 951</p> <p>-138 252</p> |
| საკუთარი კაპიტალის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                                                                                                                                                                                                         | 1 691 269                       |

შპს შვიდი მითი ტრაიდი-ს დირექტორი  
მამუკა სამხარაძე



შპს შვიდი მითი ტრაიდი

ფულადი ნაკადების  
ანგარიშგება

2019 წელი

ფულადი სახსრების მოძრაობა

-72689

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან  
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან  
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

წმინდა ზრდა(კლება) ფულსა და  
ფულის ეკვივალენტებში

სავალუტო კურსის ეფექტი

ფულისა და ფულის  
ეკვივალენტები წლის  
დასაწყისში

75 865

ფულისა და ფულის  
ეკვივალენტები წლის ბოლოს

3 176

შპს შვიდი მითი ტრაიდი-ს  
დირექტორი მამუკა სამხარაძე



## 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი მითი ტრეიდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2017 წლის 22 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405214110, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ.გოთუას ქ. N 10-12. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი: რამაზ ანდლულაძე(პ/ნ 01010000271) - 100 %. კომპანიის დირექტორია მამუკა სამხარაძე (პ/ნ 01024005082).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ხორცისა და ხორც-პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

#### **შემოსავლების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

#### **საექვო მოთხოვნების აღიარება**

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით.

#### **ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

#### **გარიგებები უცხოურ ვალუტაში**

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე

თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

#### **დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები**

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

#### **მარაგები**

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

#### **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

#### **გრძელვადიანი აქტივები**

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო

ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად,

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

## 2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად,

2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამოწვევის შემთხვევებისა).

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

## 2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

## 2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

## 3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

### 3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

|                                  | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2017<br>მდგომარეობით |
|----------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| ნაღდი ფული სალაროში              | 542                                 | 66733                               | 24                                  |
| ლარი საბანკო ანგარიშებზე         | 2562                                | 9132                                | 32249                               |
| აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე | 72                                  |                                     |                                     |
| ევროები საბანკო ანგარიშებზე      |                                     |                                     |                                     |
| სხვა ვალუტა საბანკო ანგარიშებზე  |                                     |                                     |                                     |
| სულ:                             | 3176                                | 75865                               | 32273                               |

### 3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

|  | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით |
|--|-------------------------------------|-------------------------------------|
|  |                                     |                                     |

|                                                |         |         |
|------------------------------------------------|---------|---------|
| სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ    | 3178605 | 2115443 |
| სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ |         |         |
| სულ:                                           | 3178605 | 2115443 |

3.3. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

|                                               | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით |
|-----------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| რეზიდენტი მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები    |                                     |                                     |
| არარეზიდენტი მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 746021                              | 355038                              |
| სულ:                                          | 746021                              | 355038                              |

3.4. მარაგები:

|                                        | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით |
|----------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| გასაყიდი საქონელი                      | 658456                              | 736557                              |
| საწვავ-საცხები მასალები                | 1028                                | 735                                 |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები |                                     |                                     |
| სულ:                                   | 659484                              | 737292                              |

3.5. ძირითადი საშუალებები:

|                             | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით | 2019 წელი<br>ზრდა ან შემცირება | 2019 წელი<br>დარიცხული<br>ცვეთა | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით | 2018 წელი<br>ზრდა ან შემცირება | 2018 წელი<br>დარიცხული<br>ცვეთა | ნაშთი<br>01.01.2018<br>მდგომარეობით |
|-----------------------------|-------------------------------------|--------------------------------|---------------------------------|-------------------------------------|--------------------------------|---------------------------------|-------------------------------------|
| კომპიუტერები და აღჭურვილობა | 4385                                | 2458                           | 712                             | 2639                                | 1419                           | 305                             | 1525                                |
| ავტო და სხვა ინვენტარ       |                                     |                                |                                 |                                     |                                |                                 |                                     |

|                                             |      |      |     |      |      |     |      |
|---------------------------------------------|------|------|-----|------|------|-----|------|
| ი                                           |      |      |     |      |      |     |      |
| სარეკლამო დანიშნულების ძირითადი საშუალებები |      |      |     |      |      |     |      |
| სატრანსპორტო საშუალებები                    |      |      |     |      |      |     |      |
| სულ:                                        | 4385 | 2458 | 712 | 2639 | 1419 | 305 | 1525 |

3.6. არამატერიალური აქტივები:

|                         | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით | 2019 წელი<br>ზრდა ან შემცირება | 2019 წელი<br>დარიცხული ამორტიზაცია | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით | 2018 წელი<br>ზრდა ან შემცირება | 2018 წელი<br>დარიცხული ამორტიზაცია | ნაშთი<br>01.01.2018<br>მდგომარეობით |
|-------------------------|-------------------------------------|--------------------------------|------------------------------------|-------------------------------------|--------------------------------|------------------------------------|-------------------------------------|
| პროგრამული უზრუნველყოფა | 846                                 | 211                            | 0                                  | 1058                                | 867                            |                                    | 191                                 |
| სულ:                    | 846                                 |                                | 0                                  | 1058                                | 867                            | 0                                  | 191                                 |

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

|                                            | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით |
|--------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ | 337952                              | 340616                              |

|                                                  |        |        |
|--------------------------------------------------|--------|--------|
| დავალიანება არარეზიდენტი<br>მიმწოდებლების მიმართ | 56991  | 36541  |
| სულ:                                             | 394943 | 377157 |

3.8. სხვა ვალდებულებები:

|                                                  | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით |
|--------------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| მიღებული ავანსები                                |                                     |                                     |
| ვალდებულებები<br>ანგარიშვალდებული პირების მიმართ | 11135                               |                                     |
| სხვა მოკლევადიანი<br>ვალდებულებები               |                                     | 478716                              |
| სულ:                                             | 406078                              | 478716                              |

3.9. საგადასახადო ვალდებულებები:

|                                              | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით |
|----------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| მიმდინარე საგადასახადო დავალიანება           | 155469                              | 56222                               |
| შემდგომ პერიოდებში გადასახდელი საბაჟო<br>დღგ |                                     |                                     |
| სულ:                                         | 155469                              | 56222                               |

3.10. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

|  | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით |
|--|-------------------------------------|-------------------------------------|
|  |                                     |                                     |

|                               |                |                |
|-------------------------------|----------------|----------------|
| „პროგრედიტ ბანკის“ 1-ლი სესხი |                | 494281         |
| „პროგრედიტ ბანკის“ 2-ი სესხი  |                | 490000         |
| „პროგრედიტ ბანკის“ 3-ი სესხი  | 417517         | 644721         |
| Vsv Vylg l plW l              | 0              | 102688         |
| „პროგრედიტ ბანკის“ სესხი      | 2103299        |                |
| v{yd ydo g hexo hehel         | 498346         |                |
| <b>სულ:</b>                   | <b>3019162</b> | <b>1731690</b> |

### 3.11. საკუთარი კაპიტალი:

|                             | ნაშთი<br>31.12.2019<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2018<br>მდგომარეობით |
|-----------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| წესდებით დადგენილი კაპიტალი |                                     |                                     |
| გაუნაწილებელი მოგება        | 1011808                             | 643550                              |
| <b>სულ:</b>                 | <b>1011808</b>                      | <b>643550</b>                       |

### 3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს.